საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

MOD 6 22 00688457

17.06.2022

ელ.ფოსტა: foi+request-642-b48bcad7@askgov.ge

ქალბატონო ნინო,

თქვენი 2022 წლის 14 ივნისის (რეგისტრაციის №677673; 15.06.2022 წ) განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ყოველწლიურად ადგენს ანგარიშს თავდაცვის სამინისტროს და მის სისტემაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის (ინფორმაციის თავისუფლება) მოთხოვნათა შესრულების შესახებ. აღნიშნული ანგარიშები მოიცავს თქვენ მიერ მოთხოვნილ მონაცემებს და ქვეყნდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს საკანონდებლო მაცნეში, ასევე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებული საჯარო ინფორმაციის პორტალის შემდეგ მისამართზე - https://mod.gov.ge/ge/public/page/8.

ამასთან, თავდაცვის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ დანაყოფად განსაზღვრულია სამინისტროს ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის სამმართველო, რომელშიც დასაქმებულია 9 თანამშრომელი.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის უფროსი
ნათია ჯალიაშვილი